GLOBAL INITIATIVE ON PSYCHIATRY

გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში - თბილისი

PROMOTING MENTAL HEALTH AND HUMAN RIGHTS

28.02.2019, თბილისი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს
ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის უფროსს

ქ-ნ მარინა დარახველიძეს

ქალბატონო მარინა,

ფონდი „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში - თბილისი“ ევროკავშირის ფინსური ხელშეწყობით ახორციელებს პროექტს „ფსიქიკური აშლილობების და ფსიქო- სოციალური ნიშნით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების მხარდაჭერა საქართველოში“

პროექტის ფარგლებში ქართულად ითარგმნა და ადაპტირდა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული ინსტრუმენტი „ხარისხი&უფლებები“. ასევე, გასული წლის ნოემბერში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ტრენერების მიერ მომზადდა მონიტორთა გუნდი, რომელთაც აქვთ ფსიქიკური ჯანმრთელობის და ადამიანის უფლებების სფეროში მუშაობის გამოცდილება.
ა. წ. მარტი - მაისის განმავლობაში ვგეგმავთ საქართველოს ფსიქიატრიული დაწესებულებების მონიტორინგს აღნიშნული ინსტრუმენტის გამოყენებით.
თითოეული დაწესებულებაში ვიზიტის შემდეგ შემუშავდება პირველადი ანგარიში, ხოლო ყველა დაწესებულების მონიტორინგის დასრულების შემდეგ გაანალიზდება და შეჯამდება დასკვნები მომსახურების ხარისხისა და ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ ვიზიტების ფარგლებში შეფასებულ ყველა დაწესებულებაში, მომზადდება საბოლოო ანგარიში და შემუშავდება შესაბამისი რეკომენდაციები.

დანართის სახით გიგზავნით მონიტორინგის ჩატარების სავარაუდო თარიღებს და გთხოვთ ხელი შეგვიწყოთ ამ ღონისძიების განხორციელებაში.

პატივისცემით,

ნინო მახაშვილი
დირექტორი

გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში - თბილისი
Глобальная Инициатива в психиатрии - Тбилиси
www.gip-global.org
www.gip-tbilisi.ge

49A, Kipshidze Str
Tbilisi 0179
Georgia

tel.: (+995 32) 223 53 14
(+995 32) 221 40 06
fax: (+995 32) 221 40 08
e-mail: tbilisi@gip-global.org